ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.07.2017

საჩივრის რეგისტრაციის №057/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ /სიითი №...../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 25 ივლისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და ადვოკატისაგან გადახდილი საადვოკატო მომსახურების თანხის, 500 (ხუთასი) ლარის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წლის 06 ივლისს ის ადვოკატ მ. ნ.-ს შეხვდა კაფეში და გააცნო თავისი საქმის ვითარება. მას სჭირდებოდა ადვოკატი სისხლის სამართლის კუთხით. 2012 წლიდან პროკურატურაში საქმე, სადაც ითხოვდა დაზარალებულად ცნობას,

ჭიანურდებოდა. ადვოკატს უნდა გამოეწერა ორდერი და გაცნობოდა გამოძიებაში არსებულ მასალებს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით მან ადვოკატს გადასცა 500 (ხუთასი) ლარი. ხოლო საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დამატებით დაპირდა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის გადახდას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს არ შეუსწავლია საქმის მასალები, მისი ზეპირი მონათხრობით დაწერა განცხადება და მიმართა პროკურატურას. ამის შემდეგ ადვოკატმა მას დამატებით მოსთხოვა კიდევ 500 (ხუთასი) ლარი და უთხრა, რომ აღარ გაუწევდა მომსახურებას, თუ ამ 500 (ხუთას) ლარს არ გადასცემდა.

1.5 საჩივრის ავტორმა 2017 წლის 22 სექტემბრის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ ადვოკატს მისთვის მომსახურება უნდა გაეწია პროკურატურაში, საქმის გამოძიების ეტაპზე.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, პროკურატურაში შეტანილი განცხადებაში არასწორადაა მითითებული ორგანოს დასახელება, კერძოდ წერია - ,,საქართველოს ქ.თბილისის მთავარ პროკურატურას“, ასევე ამავე განცხადებაში ა. ს. მოხსენიებეულია, როგორც დაზარალებულის მეუღლე, მაშინ როდესაც მის მეუღლეს დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული არ ჰქონია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ნ.-მა ეთიკის კომისიაში 2017 წლის 29 აგვისტოს წარმოდგენილ წერილობით ახსნა–განმარტებაში მიუთითა, რომ ა. ს. გაიცნო სოციალური ქსელით და დათანხმდა მისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას. კლიენტმა სამართლებრივი პრობლემა თავიდან გააცნო სატელეფონო კომუნიკაციით და 06 ივლისს პირადად შეხვდნენ. კლიენტმა შეხვედრისას მიუტანა მთლიანი საქმის მასალები, რომლებსაც გაეცნო მაშინვე.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ა. ს.-ს პირველადი კონსულტაცია გაუწია უფასოდ. ხოლო შემდეგ საადვოკატო მომსახურების სახით შეუთანხმდა 500 (ხუთასი) ლარის გადახდაზე, რომელიც მიიღო კლიენტისაგან.

2.3 ადვოკატის განცხადებით, კლიენტი კატეგორიულად ითხოვდა 2 პირის დაკავებას, რაზეც მან განუცხადა, რომ პროკურორი არ იყო და ვერავის დააკავებდა. საქმეზე პირველი ნაბიჯი იყო პროკურატურისათვის განცხადებით მიმართვა, რაც მან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განახორციელა.

2.4 ადვოკატმა 2017 წლის 27 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ კლიენტთან წერილობითი ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონია. რადგან კლიენტს ეჩქარებოდა, საქმეზე გამოწერა მხოლოდ ორდერი. ზეპირი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში და სააღსრულებო წარმოებაში იურიდიული მომსახურების გაწევა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მისი პირველი მოქმედება იყო ის, რომ გაეცნო თანხის დაკისრების თაობაზე სამოქალაქო სამართლის საქმის მასალებს, რათა ამ საქმეზე უკვე დაწყებულ სისხლის სამართალწარმოებაში ჩართულიყო. კლიენტი ძალიან აჩქარებდა და მთავარ პროკურატურაში შეიტანა თავისი ხელნაწერი და არა ნაბეჭდი განცხადება (საჩივარი). განცხადებით ითხოვდა კლიენტის მეუღლე ეცნოთ დაზარალებულად.

2.6 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომ პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში არასწორადაა მითითებული ორგანოს დასახელება, კერძოდ წერია - ,,საქართველოს ქ.თბილისის მთავარ პროკურატურას", ასევე ამავე განცხადებაში ა. ს. მოხსენიებეულია, როგორც დაზარალებულის მეუღლე, მაშინ როდესაც მის მეუღლეს დაზარალებულის სტატუსი არ ჰქონია, ადვოკატი განმარტავს, რომ მან დაწერა ისე, როგორც ეს სთხოვა კლიენტმა.

2.7 ადვოკატის განცხადებით, პროკურატურაში განცხადების შეტანის მეორე დღეს ის კლიენტთან ერთად წავიდა სააღსრულებო ბიუროში, რათა სისხლის სამართალწარმოებიდან გამომდინარე ყადაღა დაეოდოთ მოვალის ქონებისათვის.

2.8 2017 წლის 27 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, კოლეგიის წევრის შეკითხვაზე - ხომ არ თვლიდა საჭიროდ სისხლის სამართაწარმოების დროს შუამდგომლობით მიემართა გამომძიებლისათვის და მას მიეღო გადაწყვეტილება ყადაღის დადებაზე, რადგან სააღსრულებლო ბიურო თავისი ინიციატივით ვერ დაადებდა ყადაღას, ადვოკატი განმარტავს, რომ პროკურატურიდან მიღებული ასეთი დოკუმენტი საქმეში იყო, ასევე აღსრულებაში სამოქალაქო საქმიდან გამომდინარე უკვე მიმდინარეობდა წარმოება. კოლეგიის წევრის კითხვაზე, რომ თუ სამოქალაქო საქმე დასრულებულია, მიღებულ გადაწყვეტილებაზე უკვე დაწყებულია სააღსრულებო წარმოება, რა საჭირო იყო პროკურატურიდან რაიმე მიმართა, როცა აღმასრულებელი უკვე ისედაც ვალდებული იყო თავად მოეძიებინა ქონება და დაედო ყადაღა. ადვოკატი განმარტავს, რომ ის სააღსრულებო ბიუროში მივიდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალწარმოების კუთხით. კოლეგიის წევრის კითხვაზე, სისხლის სამართალწარმოებიდან რა დოკუმენტები ჰქონდა ადვოკატს, როდესაც სააღსრულებო ბიუროში მივიდა ყადაღის დადების მოთხოვნით, ადვოკატი განმარტავს, რომ იყო პროკურორის დადგენილება, რომ პროკურატურა, აქტიურად გამოხატავდა ინიციატივას. ადვოკატის განმარტებით, კლიენტი სთხოვდა, რომ მეორედ დაეწერა განცხადება და მან ეს შეასრულა, სააღსრულებლოში განცხადება დაწერა და მოითხოვა ქონების დაყადაღება. შეტანილი განცხადების ტექსტი ადვოკატის კარნახით უშუალოდ დაწერა ა. ს.-მ.

2.9 კოლეგიის წევრის შეკითხვაზე, განუმარტა თუ არა მან კლიენტს, რომ რადგან უკვე მიმდინარეობდა აღსრულება, აღმასრულებელი ისედაც ვალდებული იყო მოეძიებინა მოვალის ქონება და დაედო ყადაღა, აღარ იყო საჭირო კიდევ ერთი განცხადების შეტანა, ადვოკატი განმარტავს, რომ მან კლიენტს ეს ინფორმაცია მიაწოდა, თუმცა კლიენტს სურდა ისევ შეეტანათ განცხადება იმ მოტივაციით, რომ შესაძლოა მოვალემ რაიმე ქონება შეიძინა.

კოლეგიის წევრის კითხვაზე, ფლობდა თუ არა რაიმე სახის ინფორმაციას იმის შესახებ, რაიმე ქონება უკვე იყო თუ არა დაყადაღებული, ადვოკატი განმარტავს, რომ მან საქმეში ნახა აღმასრულებლის გადაწყვეტილება, რომ მოვალეს არ გააჩნდა ქონება, მან ეს ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს და კლიენტმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამ მოკლე პერიოდში მოვალემ შეიძინა გარკვეული ქონება.

2.10 ადვოკატის განცხადებით, ა. ს. მოვალისაგან ითხოვდა ძალიან დიდი ოდენობით თანხას, დაახლოებით 67 000 (სამოცდაშვიდი ათასი) აშშ დოლარს, საიდანაც ძირი თანხა იყო მხოლოდ 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი. სავარაუდოდ ამ თანხას სასამართლო არ დააკმაყოფილებდა. მან კლიენტს ურჩია, რომ მოთხოვნა გაეკეთებინათ ძირ თანხაზე, რადგან პროცენტები იყო შეუსაბამოდ მაღალი, მისი ეს რჩევა კლიენტს ეწყინა. ადვოკატის განცხადებით, მან კლიენტს განუმარტა, რომ თუ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით წავიდოდნენ და ახალი სარჩელით მიმართავდნენ სასამართლოს, დასჭირდებოდათ დაახლოებით 500 (ხუთასი) ლარი, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. ესაა ის 500 (ხუთასი) ლარი, რომელზეც მომჩივანი ამბობს, რომ თითქოს ადვოკატმა ეს ჰონორარის სახით მოსთხოვა.

2.11 კოლეგიის წევრის კითხვაზე, ხომ არ გაუწევია მას კლიენტისათვის კონსულტაცია, თუ როგორ გამოიყურება სისხლის სამართალწარმოების სისტემა, რის მერე რას უნდა ელოდოს, ადვოკატი განმარტავს, რომ ამის თაობაზე კლიენტს მიაწოდა სწორი ინფორმაცია, სავარაუდოდ რა მოლოდინები უნდა ჰქონოდა საქმესთან დაკავშირებით.

2.12 ადვოკატის განმარტებით, მან ა. ს.-ის საქმეზე ორდერი გამოწერა საქმის წარმოების დასრულებამდე, თუმცა დააზუსტა და განმარტა, რომ ორდერში მითითებულია 2 თვის ვადა. მათი ურთიერთობა გრძელდებოდა 2 კვირის განმავლობაში, ამ პერიოდის მანძილზე ის პირადად შეხვდა კლიენტს დაახლოებით 4-5ჯერ, ასევე საათობით უწევდა კონსულტაციებს ტელეფონის საშუალებით.

2.13 ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა დამოუკიდებლად დაწერა და ხელი მოაწერინა ხელწერილზე, სადაც მითითებული იყო სამოქალაქო საქმის ნომერი და მან ეს კლიენტს განუმარტა, თუმცა ა. ს. ამბობდა, რომ ეს იყო სისხლის სამართლის საქმის ნომერი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი მ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - საერთო სამართლი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ა. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 25 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის ივლისის თვეში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი არ გაეცნო მისი საქმის მასალებს, პროკურატურაში შეტანილი განცხადება მოუმზადა არაკვალიფიციურად და არ უბრუნებს გადახდილ საადვოკატო მომსახურების თანხას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

5.2.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

5.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას მათი რელევანტურობის კუთხით, კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორი და ადვოკატი საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეთანხმდნენ ზეპირი ფორმით, 2017 წლის 06 ივლისს. შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ადვოკატის მიერ ა. ს.-ის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიების ეტაპზე. ადვოკატმა 2017 წლის 07 ივლისს გამოწერა ორდერი, რომლის მოქმედების ვადა წარმოადგენდა 2 თვეს. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა 2 კვირის ვადაში.

5.6 საპროცესო კოლეგიის ხელთ არსებული დოკუმენტებითა და მხარეთა პოზიციებით აშკარაა, რომ ადვოკატს განხორციელებული აქვს იურიდიული მოქმედებები: საქმის მასალების გაცნობა (შესაძლებელია ნაჩქარევად და არასაოფისე გარემოში), შედგენილი აქვს განცხადება რომლითაც კლიენტის სახელით მიმართა მთავარ პროკურატურას. ასევე ჰქონდა შეხვედრა აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფისში კლიენტთან ერთად, სადაც შედგა კლიენტის საკითხზე საუბარი.

5.7 კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიერ არაკვალიფიციურად შედგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად კი იმის თაობაზე, რომ პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში არასწორადაა მითითებული ორგანოს დასახელება, კერძოდ წერია - ,,საქართველოს ქ.თბილისის მთავარ პროკურატურას“, ასევე ამავე განცხადებაში ა. ს. მოხსენიებულია, როგორც დაზარალებულის მეუღლე, მაშინ როდესაც მის მეუღლეს დაზარალებულის სტატუსი არ ჰქონია. ადვოკატი განმარტავს, რომ მან განცხადება დაწერა ისე, როგორც ეს სთხოვა კლიენტმა.

5.8 კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ ა. ს.-ისათვის გაწეული მომსახურება, რომც ჩაითვალოს ნაკლის მქონე მომსახურებად, რადგან ადვოკატს აქვს ლიცენზია ამ სფეროში, მისი მომსახურების ხარისხს კომისია ვერ შეაფასებს. აღნიშნული მომსახურება უნდა შეაფასოს სასამართლომ, როგორც ნაკლის მქონე მომსახურება. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევას ვერ ადგენს.

5.9 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მა აიღო ვალდებულება კლიენტისათვის მომსახურება გაეწია საქმის გამოძიების ეტაპზე, ორდერით განსაზღვრა მომსახურების ვადა და მან ვადაზე ადრე გაწყვიტა კლიენტთან

ურთიერთობა, განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

5.10 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

5.11 საპროცესო კოლეგია მხარეთათვის განმარტავს, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეებს - კლიენტს და ადვოკატს უფლება აქვთ დაასრულონ ურთიერთობა ადვოკატის მიერ შეთანხმებული სამუშაოს სრულად შესრულებამდე. ამ შემთხვევაში ადვოკატს წარმოეშობა ეთიკური ვალდებულება - სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს მის მიერ გაწეული მომსახურებისა, გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი დაუბრუნოს კლიენტს. კლიენტი ა. ს. და ადვოკატი მ. ნ. სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი 500 (ხუთასი) ლარი. ადვოკატმა მ. ნ.-მა კლიენტს დაუბრუნა ჰონორარი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

5.12 კოლეგიის შეფასებით, სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა. მხარეები თანხმდებიან, რომ ადვოკატს ა. ს.-ის ინტერესები ორდერით უნდა დაეცვა საქმის გამოძიების ეტაპზე, რისთვისაც მიიღო გარკვეული გასამრჯელო, იმ მოცემულობით, რომ მან კლიენტის ინტერესების დაცვა საგამოძიებო ეტაპზე სრულად ვერ შეძლო, ორდერით განისაზღვრა 2 თვის ვადა და მხარეთა ურთიერთობა შეწყდა 2 კვირაში, ადვოკატმა თავად განსაზღვრა შრომის ღირებულება და მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხიდან კლიენტს დაუბრუნა 100 (ასი) ლარი. ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ განხორციელებული იქნა იურიდიული მოქმედებები, რომლის ფასს ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ დაადგენს. ასეთ შემთხვევაში

საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ამ კუთხით ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმის დარღვევაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-15 ნაწილებით;,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ"დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №057/17 ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

განსხვავებული აზრი ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილებაზე დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

საქმეზე N057/17

გამოვხატავ ღრმა პატივისცემას ჩემი კოლეგების მიმართ, რომლებიც შედიან მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში და რომელთა მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება №057/17 საქმეზე ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე და ვაფიქსირებ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს, რის შედეგადაც მიმაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

1. პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ სრულად ვიზიარებ გადაწყვეტილების 5.8 პარაგრაფში მოცემულ დასკვნას, რომ საადვოკატო მომსახურების ხარისხის შეფასება არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს პრეროგატივას და დავა ნაკლის მქონე საადვოკატო მომსახურების თაობაზე და კლიენტის სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნების დადგენა არ მიეკუთვნება ეთიკის კომისიის კომპეტენციას. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 8.5 მუხლში მოცემული დათქმა მომსახურების კვალიფიციურად გაწევის თაობაზე უნდა განხილულ იქნას ფორმალურად და უნდა შემოწმდეს ადვოკატის შესაბამის სპეციალიზაციის არსებობა. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ფორმალურ, მოჩვენებით წარმომადგენლობას, შესაძლოა ეთიკის კომისიამ დაადგინოს არაკვალიფიცირებული მომსახურების გაწევა, თუმცა ამ დროს მომსახურება ასევე არ ცდება კეთილსინდისიერების სტანდარტს და ცალკე არაკვალიფიციურობის დადგენას აღარ აქვს პრაქტიკული შედეგი. შედარებისთვის იხ. ეთიკის კომისიის 25.07.2012 გადაწყვეტილება N096/11 გადაწყვეტილების 6.25 და შემდეგი პარაგრაფები. აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღნიშვნა, რომ ამ საკითხზე ეთიკის კომისიას არ აქვს ერთგვაროვანი პრაქტიკა და არსებობს გადაწყვეტილებები, სადაც ნაკლის მქონე მომსახურება ჩაითვალა კვალიფიციურობის ვალდებულების დარღვევად: იხ. ეთიკის კომისიის N090/13, 20.01.2014. იმედია უზენაეს სასამართლოს ან ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას მიეცემა საშუალება აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისთვის, რაც ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას.
2. ვერ დავეთანხმები კომისიის დასკვნას, რომ არ არსებობს 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევის საფუძველით დევნის აღძვრის წინაპირობა. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის საფუძველზე კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას „კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.
3. ეთიკის კომისიამ, განიხილა შემთხვევა, როდესაც მხარეებს შეთანხმებული ჰქონდათ ფიქსირებული საადვოკატო ჰონორარი, თუმცა არ ჰქონდათ გათვალისწინებული მისი

განაწილება სამუშაოს ეტაპებზე, ხოლო ხელშეკრულება კლიენტმა შეწყვიტა პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ. ეთიკის კომისიამ დაადგინა: „..ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო ჰონორარიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისთვის, ვინაიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა.“ გადაწყვეტილება N037/14, 10.12.2014, პარ. 6.3.

4. მაშინაც, როდესაც ადვოკატსა და კლიენტს გაფორმებული გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნებაზე არსებობდა განსხვავებული მოწესრიგება, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/7-16, 21.11.2016 აღნიშნა, რომ „.. ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს. სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესებს დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულად სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა.“
5. აპეკ-ის 8.15 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების შესაფასებლად უნდა დადგინდეს განისაზღვროს, რა მოცულობის სამუშაოს გაწევაზე იყვნენ შეთანხმებული მხარეები, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას რა მოცულობის სამუშაოს გაწევა მოხდა და ანაზღაურების გადახდის რა წესზე იყვნენ შეთანხმებული მხარეები, ასევე დადგინდეს, ვის აქვს ზემოაღნიშნულის მტკიცების ტვირთი.
6. ზემოაღნიშნულის დადგენა შედარებით მარტივია, როდესაც ადვოკატს კლიენტთან შეთანხმებული აქვს საათობრივი ანაზღაურება და ხდება კლიენტის მომსახურებაზე დახარჯული დროის აღრიცხვა. ამ შემთხვევაში დახარჯული დროის ექვივალენტი ჰონორარის გამოკლება მოხდება კლიენტის მიერ გადახდილი ავანსიდან. შესაძლებელია არსებობდეს კლიენტის პრეტენზიები გაწეული დროის აღრიცხვის სიზუსტესთან დაკავშირებით, მაგრამ ნაკლებია აპეკ-ის 8.15 მუხლის საფუძველზე თანხის დაბრუნების საფუძვლიანი პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობა.
7. მნიშვნელოვნად რთულდება გაწეული მომსახურების და ანაზღაურების ექვივალენტურობის დადგენა, როდესაც ადვოკატს შეთანხმებული აქვს ფიქსირებული ანაზღაურება და ხელშეკრულება წყდება სამუშაოს დასრულებამდე. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისია იყენებს ტერმინს „სავარაუდოს“ და „ექვივალენტურს“, იხ. ზემოთ ციტირებული ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე N037/14, ასევე გადაწყვეტილება #167/13, 11.09.2014 პარ. 5.9, გადაწყვეტილება #038/16, 16.09.2016, პარ. 6.5. შესაბამისად,

ეთიკის კომისიის შესაფასებელია, დაიცვა თუ არა ადვოკატმა სავარაუდო და ექვივალენტური ანაზღაურების მიღების სტანდარტი.

8. გადაწყვეტილების 5.12 პარაგრაფში გაკეთებულია დასკვნა, რომ „... ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა“, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ზემოთ ციტირებულ პრაქტიკის კუთხით კრიტიკულად შესაფასებელია.
9. აღნიშნული მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, ადვოკატის მიერ ნებისმიერი თანხის დაბრუნება, თუნდაც სიმბოლურის, წარმოადგენს ფორმალურად 8.15 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, რაც აზრს აცლის თავად მუხლის შინაარსს და მისი მეშვეობით დაცულ პროფესიულ სტანდარტს, რომლის მნიშვნელობას, არაერთხელ გაუსვა ეთიკის კომისიამ ხაზი. „აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიე რთობას.“ იხ. გადაწყვეტილება N 037/14, 10.12.2014, პარ.6.2. ამიტომ სწორედ ადვოკატის პროფესიისთვის ნდობის შენარჩუნების და გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია, რომ 8.15 მუხლის დანაწესისადმი იყოს შინაარსობრივი და შეფასებითი მიდგომა ეთიკის კომისიის პრაქტიკაში.
10. მტკიცების ტვირთის სწორ განაწილებასთან დაკავშირებით დასადგენია, თუ ვინ უნდა ამტკიცოს, თუ რას წარმოადგენს გაწეული მომსახურების მოცულობის ექვივალენტურ ანაზღაურებას. ეთიკის კომისიას აქვს ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის თანხმად მტკიცების ტვირთი კლიენტისგან მინდობილ სახსრების ხარჯვაზე ზუსტი ხარჯთაღრიცხვის წარდგენაზე აქვს ადვოკატს, იხ. გადაწყვეტილება N007/16, 25.10.2016, პარ. 6.15. არ არსებობს არგუმენტი, რომელიც მტკიცების ტვირთის სხვანაირად განაწილებას საფუძველს მოგვცემდა კლიენტისთვის თანხის დაბრუნების მოცულობასთან დაკავშირებით.
11. შესაბამისად, ადვოკატის სამტკიცებელია კლიენტის მიერ გადახდილი თანხიდან უკვე გაწეული მომსახურებისთვის ანაზღაურების ოდენობის შესაბამისობა და სავარაუდობა. სიცხადისათვის და განსხვავებული შეფასების რისკის თავიდან აცილებისთვის, ფიქსირებული ანაზღაურებაზე შეთანხმებისას, ადოკატს შეუძლია განსაზღვროს ანაზღაურების წილი თითეული განსაზღვრადი ეტაპისთვის. ამასთან, რაც უფრო მცირე ეტაპები იქნება, მით უფრო ნაკლები იქნება დავის საფუძველი და სავარაუდოობის სხვაგვარი შეფასების რისკი. თუმცა ზეპირი და შესაბამისად ზოგადი ხელშეკრულების შემთხვევაში აღნიშნულის მტკიცება განსაკუთრებით რთულია.
12. ადვოკატმა მ. ნ.-მა განმარტა, რომ ორდერი გამოწერილი იყო 2 თვის ვადით და მოიცავდა წარმომადგენლობას სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში. დამატებით ადვოკატმა კლიენტს მოამზადებინა განცხადება სააღსრულებო წარმოებაში. მათი ურთიერთობა დასრულდა 2 კვირაში კლიენტის ინიციატივით, ხოლო სისხლის სამართლის საქმისწარმოების დაწყებაზე მიღებულ იქნა უარი. ადვოკატმა მიღებული ფიქსირებული ანაზღაურებიდან 500 ლარი დაიტოვა 400 ლარი, რაც ანაზღაურების 80% ს შეადგენს.

ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს განხორციელებული მოქმედებების ფასზე, როგორც მართებულად მითითებულია გადაწყვეტილების 5.12 პარაგრაფში, თუმცა კომისიამ უნდა იმსჯელოს დატოვებული ანაზღაურების ღირებულების და განხორცილებული მომსახურების ექვივალენტობაზე.

13. როდესაც მომსახურება შეწყდა საკმაოდ მალე, მისი დაწყებიდან, 2 კვირის ვადაში, როდესაც სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში ადვოკატის მონაწილეობა შემოიფარგლა ერთი განცხადების დაწერით, რადგან სისხლის სამართალწარმოება მალევე შეწყდა, ადვოკატის მიერ 80% ჰონორარის დატოვება არ მიმაჩნია ექვივალენტურ და კლიენტისთვის ობიექტურად სავარაუდო ოდენობად.
14. შესაბამისად, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 31-ე მუხლის შეესაბამისად, ეთიკის კომისიის მითითებული პრაქტიკის საფუძველზე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, წინამდებარე განსხვავებული აზრით კიდევ ერთხელ გამოვხატავ პატივისცემას კოლეგების დასკვნის მიმართ, თუმცა ვთვლი, რომ არსებობს ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ აპეკ -ის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევის გამო დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ირაკლი კორძახია

ეთიკის კომისიის წევრი